

სპს "კონსორციუმი-ქართული სტამბების გაერთიანება სეზანი, ფავორიტი
სტილი, გამომცემლობა კოლორი" (ს/კ 404559786)
განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

- სპს "კონსორციუმი-ქართული სტამბების გაერთიანება სეზანი, ფავორიტი სტილი, გამომცემლობა კოლორი" (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 20 ივნისს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404559786 . იურიდიული მისამართი: საქართველო, მთაწმინდის რაიონი, თბილისი, ვირსალაძის #8
- საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან შემდეგი იურიდიული პირები:
 - შპს „სეზანი“ ს/კ 203862551;
 - შპს „ფავორიტი სტილი“ ს/კ 404379294 ;
 - შპს „გამომცემლობა კოლორი“ ს/კ 208149859 ;
 - შპს „მვპ პრინტი“ ს/კ 404559517 ;
 - შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“ ს/კ 204876777 ;
 - შპს „ფორმა“ ს/კ 216312915
- საზოგადოების ხელმძღვანელობას წარმოადგენს :
 - დირექტორი -01010000751 შორენა შავერდაშვილი
 - დირექტორი - 62006017173 რუსლან ჯახაია
- საზოგადოების შექმნის აუცილებლობა განაპირობა იმან რომ შემჭიდროვებულ ვადებში სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა და დისტრიბუცია განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული მასშტაბებიდან გამომდინარე ცალკე აღებულ სტამბებს გაუჭირდებოდათ. ამიტომ შეიქმნა ქართული სტამბების გაერთიანება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით , რომელშიც გაერთიანდა ექვსი სტამბა.
- საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:
 - სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა სტამბებიდან და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-თვის გადაცემა მის რესურსცენტრებში .
 - საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:



- საზოგადოების მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად
- საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;
- მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;
- საზოგადოება მსს ფასს-ის მიხედვით აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსური ანგარიშგებას;
- სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;
- მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ არიცხება.
- ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ



დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;

- შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 3. საზოგადოების კაპიტალი და წილების განაწილება პარტნიორებს შორის :
 - საზოგადოების საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით დამფუძნებელი-პარტნიორების შენატანით განისაზღვრება საზოგადოების საწესდებო კაპიტალში პარტნიორების წილები. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში პარტნიორების შენატანები განხორციელდება სამუშაოს შესრულებით ან/და მომსახურების გაწევით , მათი კუთვნილი წილების პროპორციულად .
 - პარტნიორთა გადაწყვეტილებით საზოგადოებაში პარტნიორებს შორის წილები და მოგება-ზარალი განაწილდება შემდეგი პროპორციით :

- შპს“სეზანი“	-კაპიტალის წილი 24,5%
- შპს“ფავორიტი სტილი“	-კაპიტალის წილი 24,5%
- შპს გამომცემლობა“კოლორი“	- კაპიტალის წილი 24,5 %
- შპს „მეზ პრინტი“	- კაპიტალის წილი 15%
- შპს“გაზეთი საქართველოს მაცნე“	-კაპიტალის წილი 6,5%
- შპს“ფორმა“	- კაპიტალის წილი 5%

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:
 - ბალანსს;
 - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
 - საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

დირექტორი

X. 

შორენა შავერდაშვილი

დირექტორი



რუსლან ჯაბაია



ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წ-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1	შემოსავალი მიწილებიდან და მომსახურებიდან	12,267,573.96
2	ბანკიდან სესხის მიღება	
	სულ შემოსავალი	12,267,573.96
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	199,517.32
2	გადახდილი დივიდენდები	171,304.36
3	გადახდილი გადასახადები	126,306.10
4	სესხის გადახდა (ბანკი)	
5	გადახდილი %	49,553.76
6	ბანკის მომსახურების ხარჯი	46,230.88
7	კომუნალური გადასახადები და სხვა ხარჯები	11,639,176.38
8	საწედებო კაპიტალის შემცირება	
	სულ გასავალი	12,232,088.80
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		
		-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		
		35,485.16

დირექტორი:



დირექტორი:

სპს "კონსტრუქციები-ქართული სტაბილუმი" გარეთიანება სუზანი, ფაქტორიტი სტილი, გამომცემლობა კოლორი " (ს/კ 404559786)

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	თანხა
6110 1	შემოსავალი წიგნების რეალიზაციიდან	8,889,167.65
6110 2	შემოსავლები რვეულების რეალიზაციიდან	2,812,446.69
6110 3	შემოსავალი მიწოდებიდან/დღგ-თი დასაბეგრი/	489,862.22
6110 4	შემოსავალი ქვეიჯარიდან	203.40
8190 1	მირ.ფ-ბის რეალიზაცია	21,380.00
	სულ შემოსავალი	12,213,059.96
	ხარჯები	
7150	ექსპერტების ანაზღაურება	28,124.00
7210	გაყიდული/შემცენილი საქონელი	11,352,433.77
7320	შრომის ანაზღაურება დისტრიბუცია საწყობი	168,734.15
7320	კვება	15,468.76
7340	ტრანსპორტირების ხარჯი	81,658.85
7410	შრომის ანაზღაურება	81,881.00
7420	საიჯარო ქირა	81,319.23
7421	ა/მანქანის იჯარის ხარჯი	7,562.50
7422	კომუნალური მომსახურება	2,723.25
7430	კომუნიკაციის ხარჯები	936.44
7437	დაცვის ხარჯი	13,069.98
7441	საწყობის მოწყობის ხარჯი	4,542.84
7442	საკანცელარიო ხარჯი	2,464.23
7443	შესაფუთი მასალის ხარჯი	14,207.65
7445	კომპიუტერის ხარჯი	1,997.99
7480	საწვავის ხარჯი	10,759.33
7490	სხვა საერთო ხარჯი	10,126.32
7491	ბანკის გარანტიის საკომისიო	45,039.38
8210	საპროცენტო ხარჯები	49,556.19
8220	პროპორციული დღგ-ს ხარჯი	9,314.04
	მირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება	21,084.46
	სულ ხარჯი	12,003,004.36
	მოგება	210,055.60
	მოგების განაწილება	210,055.60
	დარჩენილი მოგება	-



**სპს "კონსორციუმი-ქართული სტამბების გაერთიანება სუზანი, ფაქორიტი
სტილი, გამომცემლობა კოლორი" (ს/კ 404559786)**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018

აქტივები	შენიშვნა	31-12-18
მიწა	1	-
ძირითადი საშუალებები	1	-
არამატერიალური აქტივები	1	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	-
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	1,525.68
გადახდილი ავანსები	3	59.25
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	35,485.16
სულ მიმდინარე აქტივები		37,070.09
სულ აქტივები		37,070.09
ვალდებულებები		
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	5	-
საგადასახადო ვალდებულებები	6	-
სასესხო ვალდებულებები	7	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		-
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	8	-
გაუნაწილებელი მოგება	8	37,070.09
სულ კაპიტალი		37,070.09
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		37,070.09

დირექტორი:

დირექტორი:

